

## კონკურსში მონაწილეობის პირობები

### **მუხლი 1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები**

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) 2014 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

### **მუხლი 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები**

1. პირმა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

- ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
- ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.

**მუხლი 3. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები**

1. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:
  - ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
  - ბ) 2014 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 3 სტატია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

**მუხლი 4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები**

1. პირმა მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:
  - ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
  - ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.